კვირველია, ძნელი და დიდად სასახელო საქმე არ იქნებოდა. ჯერ
ერთი, სად იყო წიგნები? გაფანტული, გადაკარგული ათას ალა-
გას. რამდენს უნდა წვალებულიყო განსვენებული, რომ ეს წიგნები
ხელთ მოევდო, შეეგროვებინა! მერე თითონ წიგნებიც როგორი
იყო? დაგლეჯილი, დამტვერიანებული, დამპალი, გადასულ-გადახუ-
ნებული. რამდენი უნდა ეძებნა, რამდენად უნდა გაეწყალებინა თვა-
ლი, რომ ერთი-ორი ამბავი ამოეკითხა ამ წიგნებიდგან!

მაინც მარტო წიგნებიდგან ბევრს ვერაფერს შეიტყობდა წარსუ-
ლისას. იყო სხვა სახსარაც, სხვა ღონეც ამბების შესატყობლად, უფრო
ძნელი, უფრო მძიმე. გენახვებათ ძველი შენობები და ნამეტნავად
ეკვლესიების და მონასტრების ნანგრევები, რომელიც ბლომად არის

ჩვენ ქვეყანაში. გენახვებათ, მაგრამ განა ბევრს გეცოდინებული მარტინი მარტინი და მოწამენი არიან ეს ნანგრევნი, ეს ქვები? დიმიტრი გაქრაძემ აი ამ უენო მოწმებისაგან გაიგო ბევრი და საუცხოვო ამბავი ჩვენის წარსულის ცხოვრებისა, დიდებისა, ცოდნისა.

ასეა! მცოდნე კაცის ხელში უსულო ქვაც კი ენას ამოიღამს და ალაპარაკდება ხოლმე! ადვილი კი არ გევონოთ ეს საქმე? ბევრი დრო და დიდი მხნეობა უნდა, რომ ჯერ ერთი მოიარო და გასინჯო ეს ნანგრევები და მეორე,—ალაპარაკო ეს ციფი, ხავს-მოკიდებული ქვები, რომელთაც არც ენა აქვთ სალაპარაკოდ და არც გული.

— სად ჰქონდა მერე ამოდენა დრო? როგორ ასწრებდა ყველა ამასაო? — იყითხავთ და გაიკეირვებთ. მაგრამ უფრო გაიკეირვებთ, როდესაც გეტუვით, რომ ამ კაცს ამ საქმის გარდა ბევრი სხვა საქმეც ჰქონდა კიდევ.

დიმიტრი ბაქრაძე სამსახურის კაცი იყო. როგორც ზემოდაც ვთქვით, ლარიბი კაცი იყო და მხოლოდ თავის სამსახურით ცხოვრობდა და აცხოვერებდა ცოლ-შვილს.

გარდა ამისა, არ იყო თითქმის ისეთი საქმე, რომ დიმიტრი ბაქრაძეს მონაწილეობა არ მიეღო. გაზეთი გამოვიდოდა თუ ჭურნალი, განსვენებული სიხარულით მიეგებებოდა ამ საქმეს და შველასაც გაუწევდა. შესდგა ჩვენში აგერ ათი წელიწადია ერთი საზოგადოება, რომელიც ცდილობს სკოლები დამართოს, წიგნები ბეჭდოს და წერა-კითხვა გაავრცელოს ჩვენ ხალხში, — განსვენებული დიმიტრი ამ საზოგადოებასაც ხალისით და გულმოდგინედ ჰშველის რჩევით თუ საქმით. განიზრახეს ძველი ქართული წიგნების, ხელნაწერების და სხვა ნაშთების შეგროვება, და დიმიტრი აქაც მოთავეობას იჩენს. ვინ ჩამოსთვლის კიდევ ბევრს სხვას!

და განა მარტო საქვეყნო საქმეებში იყო ასეთი გულმოდგინე? კერძოდაც რომ მისულიყო ვინმე და რჩევა, დარიგება ეკითხა, ვითომ უარს ეტყოდა ან უგულოდ მიიღებდა? ვისაც კი ერთხელ მანც ულაპარაკნია განსვენებულ დიმიტრისთან, არასოდეს ალარ დავიწყ-



დება მშვიდი, წყნარი, აღამიანის-მოყვარული და ტკბილად მოსაზრებელი უბრე დიმიტრი!

განსვენებული სამოცდა სამის წლისა იყო, რომ გარდაიცვალა, მაგრამ უნდა გენახათ, რა მხნე იყო, რა ყმაწეილსავით უმანკო და მოყვარული გული ჰქონდა. როგორც ყმაწეილს, სიხარული ისე აი-ტაცებდა ხოლმე დიმიტრის, როდესაც რაიმე სასიამოვნო ამბავს ეტყოდნენ, მეტადრე თუ ეს ამბავი შეეხებოდა იმის საყვარელს ისტორიას!

ეს იყო მიზეზი, რომ კაცმა ერთხელ მოჰკილა ხელი კალამს, ორ მოცს წელიწადს მუშაობდა განუწყვეტლივ, ერთხელ უკან არ დაუწევია, და, როგორც კარგს ჯარის-კაცს ფარ-ხმალი, ისე იმას სიკვდილამდე კალამი ხელიდამ არ დაუგდია. ბევრი ჯაფა და შრომა ჰქონდა, მაგრამ არაოდეს არა ჩიოდა, გარჯას, შრომას არ უშინდებოდა, არ უფრთხოდა, არ უფრთხოდა იმიტომ, რომ საქმე გულით უყვარდა, საქმეს სიყვარულით აკეთებდა. და საცა სიყვარულია, იქ არაფერი საქმე ძნელი არ არის!...

აი ვინ და რა კაცი იყო დიმიტრი ბაქრაძე!





ოქროს-მატელოვანი ვერმი

და იაზონი

II



ავიღა იაზონ და მოიარა ყოველი კუთხე საბერძნეთისა. საუკეთესო ვაჟკაცებს იწვევდა, შეიარაღებულიყვნენ და წაჰყოლოდენ კოლხიდაში სასახლო საქმისთვის. ყველანი დიდის სიხარულით მიეგებნენ იაზონს და დაპირდნენ შემწეობას. ორმოც-და-ათი სულ რჩეული ვაჟკაცი და გამოაჩენილი გმირი მოგროვდა, რომელთაც ისურვეს იაზონთან თანამგზავრობა. ამათში შესანიშნავნი იყვნენ — საკვირველი მგოსანი (მოძლერალი) ა რ ფ ე ა ს და ფრთოსანნი ვაჟები ბორეასისა, სახელად კალაის და ზეტეს.

გმირები გამოეწყვნენ და შეიკრიბნენ ქალაქს იოლხში; აქ იმათ მზად დაპხედათ ხომალდი, რომლითაც უნდა წასულიყვნენ კოლხიდაში. ხომალდს ერქვა სახელად არ გო. ამის გამო იმ გმირებსაც, რომელთაც ამ ხომალდით იმგზავრეს, დაერქვათ „არ გო ნავ ტები“. სანამ ხომალდში ჩასხდებოდენ, თავი კაცი აირჩიეს. ყველამ ერთხმად იაზონი დასახელეს თავ-კაცად, და ამანაც იყისრა წინამძღვალობა. შემდევ ჩასხდნენ არგოში, ახსენეს ღმერთი და დაიძურნენ.

დიდს ხანს იარეს არგონავტებმა, ბევრი ქვეყანა ნახეს, ბევრი ხალხი გაიცნეს გზაში, ზღვის ნაპირებზე, ზოგიერთებთან სასტიკი ბრძოლაც ჰქონდათ; მაგრამ ყოველგან გამარჯვებული გამოდიოდნენ. ერთმა არგონავტმა, სახელად პოლიდევქიმა, სძლია შესანიშნავი მოკრივე — ამიკ მეფე, რომელიც ცოცხალს არ გაუშვებდა ხოლმე, ვისაც კი შეებოდა.

ხშირად, როდესაც არგონავტები მოიქანცებოდნენ ხოლმე გზის სიძნელისაგან, მგოსანი ორფეას აიღებდა ხელში თავის ქნარს, ააჭლერებდა სიმებს და მოჰყვებოდა მღერას. დამლეროდა სახელოვან

გმირების საქმეებს და ქებას უკალობდა ბერძნთა ღმერჩებს; აშენ სიმღერაზე არგონავტებს თვალები მიელულებოდათ და დაეძინებოდათ ხოლმე ტკბილად. საკვირველი ძალა ჰქონდა ორფეასის ქარსა: ამისი ხმა მეინვარე მხეცებს აცხრობდა, აშუოთებული და აღელვებული ზღვაც კი მიწყნარდებოდა ხოლმე მის ჟღერაზე. ხან-და-ხან ჩაფიქრდებოდენ არგონავტები, რომ ძნელად ასასრულებელ საქმეს შეუუდევით, და დაღონდებოდნენ ხოლმე. ამ დროს წამოავლებდა ორფეასი ხელს თავის ქარს და ქებით მოიგონებდა საბერძნეოს გამოჩენილ გმირებს. მაშინ არგონავტები გამოფხილდებოდენ, ერთორად მოემატებოდათ ძალა და გამნევლებოდნენ.

ამიკ მეფესთან ბრძოლის შემდეგ, არგონავტები მიეიღნენ ქალაქს სალმიდესს. აქ იმათ გაიცნეს ფრაკის მეფედ ნამყოფი მოხუცი—ფინეასი, რომელიც ძლიერ სასტიკად იყო დასჯილი. ერთხელ თურმე ფინეასმა განარისხა ზევსი, რის გამო გაჯავრებულმა ზევსმა ფინეასი დაბრმავა. ეს კიდევ არაფერი. უბედური უფრო იმით იყო ეს საბრალო მოხუცი, რომ შიმშილით კვდებოდა: როგორც კი მოუტანდენ საღილს და ფინეასი საჭმელად მოემზადებოდა, უეცრად საიდგანლაც გაჩნდებოდენ რაღაც საძაგელი, უსუფთაო ფრინველები (გარპიები) და ერთ ლუკმასაც არ დააკეპებდენ, ხელში გამოსტაცებდენ და თითონ შესჭამდენ. თუ რამ მოუტაცებელი დარჩებოდათ სუფრაზე, იმას ისე წაპილწავდენ გარპიები, და საჭმელს ისეთი ცუდი სუნი აედინებოდა, რომ ადამიანი ახლოსაც ვერ მიეკრებოდა, არამთუ საჭმელად კადევ გული მისელოდა.

დიდს ტანჯვაში იყო საბრალო ფინეას. მიხრწნეული, მისუსტებული სულს ძლიერ დაფავდა. რა ძალიან უნდოდა საბრალოს, თავი დაეხსნა ამ საზარელ ფრინველებისაგან! მაგრამ რას გააწყობდა, როდესაც არაუერი მათ არ ეყარებოდა! გარპიებს კანი რკინისა ჰქონდა და ბრჭყალებიც რკინისა ესხათ. დაუკლეჯელი არავინ გადარჩებოდათ, ვანც იმათ მოშორებას მოინდომებდა,—ისეთი ბასრი ბრჭყალები ესხათ.

ფინეასს ნათქვამი ჰქონდა წინად, რომ არგონავტებისაუზნ ცლილ-
სები ხსნასაო. როდესაც შეიტყო საბრალო მოხუცმა, არგონავტები
მოდიანო, ბარბარით წამოდგა ფეხზე და ყავარჯნის ცეცებით მიად-
გა კარებს; მიიპატიფა უცხო სტუმრები და უამბო თავისი უბე-
ღურება. დასხდნენ თუ არა არგონავტები ფინეასთან სადილის საჭმე-
ლად, იმ წუთასვე მოფრინდნენ გარპიები და დაიწყეს ჩვეულებრივ
საჭმლის ტაცება. გმირებმა იძრეს მახვილი იმათ დასახოცად, მაგ-
რამ ვერაფერს გახდნენ. მაშინ ბორეასის შვილებმა, კალაისმა და ზე-
ტესმა, გაშალეს ფრთები და იწყეს ჰაერში ფრენა. გარპიებმა ეს
რომ დაინახეს, დაფთხნენ და წავიდნენ. გამოუდგნენ უკან კალიას
და ზეტეს და იქამდისინ სდიეს, სანამ ქანუგაწყვეტილი გარპიები ყვე-
ლანი ზღვაში არ ჩაცეივდენ და არ დაიხჩნენ.

როდესაც ბორეასის შვილები გამარჯვებულნი დაბრუნდნენ,
არგონავტებთა დაკლეს ცხვარი და კარგი სადილი გაუკეთეს ფინეასს.
იმდენის ხნის შშიერი მოხუცი მოუჯდა სადილს და დაიწყო ჭამა;
ისეთი სიხარბითა სჭამდა, ისე ილაგებდა პირში ვეებერთელა ლუკ-
მებს და ყლაპავდა, რომ ერთხელაც ყბა არ მოუქნევია. ფინეასმა
დიდი მაღლობა გამოუცხადა არგონავტებს, რომ დაისხნეს საშინე-
ლის ტანჯვისაგან, და წასვლის დროს დარჩება მისცა, თუ როგორ
უნდა ერნათ ზღვაში.

აქედგან წასულნი არგონავტები შევიდნენ ზღვის ვიწრო სრუ-
ტეში, რომლის ნაპირებზე აყუდებული იყო ორი დიდი, უზარმა-
ზარი კლდე. ჯერ კიდევ მაგალითი არ ყოფილიყო, რომ ამ კლდეებს
შუა ესმე ნავი გაეტარებინოს: კლდეები ხან მიუახლოვდებოდენ
ერთმანეთს, საზარელის ჭერით დაეჯახებოდენ ერთი მეორეს და ხან
ისევ განშორდებოდენ. ნიადაგ ამ შეჯახებაში იყვნენ. თევზი რომ
შონავალიყო ამ ორ კლდეს შუა, ისიც ვერ გადარჩებოდა გაუჭყლე-
ტელი; რაც უნდა სწრაფი ფრინველი ყოფილიყო, გაფრენას ვერ
მოასწრებდა, კლდეებს გაუჭყლეტავი ვერ წაუვიდოდა. როდესაც

ხომალდით მიღიოდა ვინმე ამ სრუტეში, კლდეები უძრავდება მარწევა
სანამ ხომალდი შეა ადგილას არ მიყიდოდა; როგორც კი მიაწევდა
შეა ადგილას, კლდეები თვალის დახამხამებაზე დაიძროდენ ადგილიდ-
გან, დაეძერებოდენ ერთმანეთს და ხომალდს სულ ნაფოტად აქ-
ცყვდენ. ვინც ხომალდში იქნებოდა, იმათვან, რასაკირველია, ერ-
თიც ვერ გადარჩებოდა მთხრობლად. ამ საშინელს კლდეებს ეძახო-
დნენ სიმპლეგადის კლდეებს.

არგონავტებმა მტკიცედ შეასრულეს ყველაფერი, რაც ფინეასმა
ურჩია იმათ, და იმის წყალობით საშიში სრუტე მშევიდობით გაი-
რეს. პირველად, სანამ მიუახლოვდებოდენ საკვირველ კლდეებს,
დიდს შიშში იყვნენ. ჯერ კიდევ კარგი მანძილი ჰქონდათ გასავლე-
ლი, რომ მოესმათ სიმპლეგადის ზეირთების ღრიალი და შუვილ-
ხუფილი. ხან-და-ხან ზეირთების ხმაურობა შესწყვდებოდა ხოლმე და
ისეთი საზარელი გრგვინვის ხმა გამოისმოდა, რომ არე-მარეს აყრუ-
ებდა და ცახცას აწყებინებდა ყველაფერს, — ეს იმის ნიშანი იყო,
რომ სიმპლეგადის კლდეები ერთმანეთს ეჯახნენ.

ავერ გამოჩნდა სიმპლეგადიც. მხერვალმა მსწრაფლად ბძანება
გასცა. გმირებმა სტაცეს ხელი ნიჩბებს და მოემზადნენ სიმპლეგადის
აქაფებულ ზეირთებთან საბრძოლველად. ერთი გმირი წავიდა და ხო-
მალდის თავში დადგა; ამ გმირს მტრედი ეჭირა ხელში. როგორც
კი მოშორდნენ კლდეები ერთი მეორეს, იმ წუთასვე გააფრინა
მტრედი იმ კლდეებს შეა.

ფინეასისგან ნათქვამი ჰქონდათ არგონავტებს, პირველად მტრე-
დი გააფრინეთ სიმპლეგადის კლდეებს შორის და თუ იმან მშევიდო-
ბით გაიარა ეს საშიში გზა, მაშინ თქვენც იმედი გქონდეთ, რომ
მშევიდობით გაივლითო; თუ მტრედი დაიღუპა, ეს ცუდი ნიშანი იქ-
ნება თქვენთვის და მაშინ უთუოდ სხვა გზა უნდა აირჩიოთო.

მტრედი გაფრინდა ჩქარა და როგორც კი მიაწია შეა ადგი-
ლამდის, დაიძრენ კლდეები და დაეჯახნენ ერთმანეთს. წყალი თითქო
მტრედი იქცა და კორიანტელი დადგაო. შეიძრა არე-მარე. ადა-
მიანი იფიქრებდა, ცა და დედა-მიწა ერთმანეთს დაეჯახნენ და ქვეყა-
ნა დაინგრაო. არგონავტებმა სული განაბეს და გულის ძეგრით იც-
ქირებოდენ მტრედისკენ. დაინახეს, რომ მტრედი გადარჩა, კლდე-
ებს მხოლოდ მოესწროთ და ბოლო მოეწყვიტათ მტრედისთვის. მტრედის
გადარჩენა კარგი ნიშანი იყო და არგონავტებს იმედი მიე-

ცათ. ხომალდს არგოს ისე ათამაშებდა ზვირთები, რომ მნახველები იფიქრებდა, ყმაწვილებს ქალალდის ხომალდი გაუკეთებიათ სათამა-შოდ და ადიდებულს წყალში შეუပურებიათო.

როდესაც კლდები კარგად განშორდენ ერთმანეთს, ხელმეორედ გაისმა რიხიანი ხმა მხერეალისა: „აბა, მარჯვედ!“ და ყველამ მოუსვეს ნიჩბები. ზვირთები საშინლად ადიან და ჩადიან. არგო ზედ ქედზედ მოექცა მთისოდენა ზვირთს და მერჩე იქიდგან დაჭანებული შურდულის ქვასავით შევარდა სრუტეში ორ კლდეს შუა. აქ არგოს კიდევ მეორე ზვირთი შემოჰედა წინ, რომელიც პირველზე ნაკლები არ იყო, და რომ დასჯახებოდა, ხომალდს წყალი ჩანთქავდა. მაშინ მხერეალმა დაიძახა: ხელი უშვით ნიჩბებსო! საშიშმა ზვირთმა დახარა ქედი, თან-და-თან დაიწია დაბლა, თითონ ძირს მოექცა და ხომალდი ზურგზე მოიგდო. ამ დროს მენიჩბებმაც ისევ ხელი გაუსვეს და ისე ღონივრად სცემდენ ნიჩბებს, რომ კინალამ არ გადაემტრიათ.

რამდენი ტანჯვა გამოიარეს, რამდენს ეწვალნენ! ცოტას რომ წინ წაიწევდენ და იფიქრებდენ, მაღლობა ღმერთს, ახლა კი გვეშველაო, უკურად დაეტაკებოდა ახალი ტალღა და ორი იმდენზე ისევ უკან გადაისჩოდა ხომალდს. ბოლოს ისე აშეოთდა ზღვა და ისეთნაირად დაწყებინა ხომალდს ტრიალი, რომ დიდი არგო ნაფორადაც აღარ სჩანდა. ამ დროს კლდეებიც დაიძრენ და მოაშურეს ერთი მეორეს დასაჯახებლად. მოაწია უკანასკნელმა წამმა. არგონავტებმა იმედი გადაიწყვიტეს...

უცემ გაჩნდა ამ აღაგას ათინა-ღმერთი, რომელიც ძლიერ სწყალობდა არგონავტებს, დაფაურდენ მენავეები, მოუსვეს ნიჩბები რაც ძალი და ღონე ჰქონდათ! ათინამაც ხელი ჰკრა არგოს. ხომალდმა გააპო ავორებული ზვირთები და შურდულის სისწრაფით გაიარა სიმპლეგადის სრუტე, მხოლოდ ცოტაზე მოასწრეს არგოს შეჯახებულმა კლდეებმა და პატარა ბოლო მოამტვრიეს.

ამას შემდეგ ერთხელ კიდევ გაშორდნენ კლდეები ერთმანეთს და იმ დღიდგან არასოდეს აღარ შეჯახებულან, ისე შეურყეველად იღენენ თავ-თავის აღაგას. განგებისაგან დაწესებული იყო, რაკი ხომალდი მშეიდობით გაიღლიდა იმათ შორის, კლდეები უნდა და-შორებოდენ ერთმანეთს და მუდამ უძრავად ყოფილიყვნენ.



ჭინჭველები

IV

 ღდის მოფიქტებითა და სამართლიანად არის გაუთვიდი
უკუგლი შრომა მუშებ შორის. იმ დროს, ოცა ერთი ჯგუ-
ფი ემსასურება დედა-ჭინჭველას, მეორე უკლის გვერცხებს,
ჭიებს და პარებს, მესამე შოულობს საზრდოს მოელი
საზოგადოებისათვის, რომ საჭმელი არ მოაკლდეს არც
დედა-ჭინჭველასა და ჭიებს და არც იმ მუშებს, რომელთაც სხვა საჭმე
აქვთ მინდობილი. მონაძირე ჭინჭველები ბლობად მოზიდვენ სოლმე
ბუდეში პატარა მოკლულ მწერებს, რომლის ჭამა ჭინჭველებს ძალიან
უკართ.

მცენარის მარცვალიც საუკარელი საჭმელია მათვის, მაგალითად
შერის მარცვალი, და საჭმალ ბერსაც ზოდვენ ამ მარცვალს ბუდეში.
საზრდოს ძებნის დროს ზოგი ჭინჭველა წაადგება ხოლმე ისეთს აღაგს,
სადაც ბერი მარცვალი ყრია. იმას კარგად ესმის, რომ მარტოდ მარცვ-
ლების მოზიდვა არ შეუძლიან. ამიტომ ბრუნდება ბუდეში და ამხსნაგებს
ატერიანებს ამ ამბავს. ისინიც მოჭევებიან და უკლასი ერთად მიზიდვენ
მარცვალს ბუდეში.

თითო მარცვალს თითო ჭინჭველა გერ მოურევა. მაგრამ აქაც გო-
ნივრულად იქცევა ეს საკირველი მწერი. ექვსი ას რვა წევილი შეუსისძე-
ბა აქეთ-იქით მარცვალს და ამ სახით მიათრევენ თავიანთ ბუდეში
მარცვალს მარცვალზე, ზოგჯერ მაღიან შორიდვენაც. ამავე გზით მრავალი
ჭინჭველები რიგ-რიგობით მოდიან და იმ სახითებ მოაჭირო მარცვლები,
და ისე წესიერად, რომ ერთი მეორეს სელს არ უშლის. სშირად ის
გზა, რომელზედც უნდა გამოატარონ თავიანთ საზრდო, ოდაზობოდება
და სიარული უჭირდებათ. მაშინ მარცვლების ზიდვას დროებით თავს ან-
ბებენ და გზის შესწორებას შეუდგებიან სოლმე. ჭინჭველებს ამ საჭმელაც

გასაკვირველი ნიჭი ეტუობათ, ხშირად 2000 არშინ გრას ასეთ დღისძიების
ასწორებენ და აკეთებენ, რომ ჰატარა გრა-ტემცილს მასმეზავს ებენ ხრლები.

თუ სადმე მეტად ამაღლებული მიწა დახვდათ გრაში, გასვერტენ
და ჰატარა გვირაბს აკეთებენ. ამ როგორ გაეთებულ გრაზე, რასა-
კიარგველია, უფრო უადვილდებათ ტვირთის ზღვა ჭინჭველებს და მეტ-
საცა ზიდვენ. სხვა საზოგადოების ჭინჭველებს ამ გრათ ნება არა აქვთ
სიარეფისა და თუ ვინმე გაძერა და გაიარა, გრას ჸატრონები სწორად
სიცოცხლეს გაუმწარებენ.

ჭინჭველებს მეტად უკვართ ტებილი, წებოს მსგავსი, წერი. ამ წერის
ისინი მოვობენ ერთგვარ ჰაწას ცხოველისგან, რომელსაც მცენარის
მდიდარი ეწოდება. თუ როდისმე ვარდის ბუჩქს დაჭვირვებისართ, იმის
შორებზე უთუოდ მრავალ ჰატარა ჭიას უნიშნევდთ. სწორედ ეს ჭია
და სხვა მცენარების ამგვარივე ჭიები იძლევას თავიანთ ტანიდგან იმ
ტებილს წერის, რომელიც ისე უკვართ ჭინჭველებს.

საყურადღებო განწყობილებაა ამ ცხოველებისა და ჭინჭველებს შო-
რის. მხწავლულნი ამ მდიდარ ჭინჭველების ძროსას უწოდებენ, და მართ-
ლაც ძროსას მაგიგრობას ეწევა.

არის ერთ გვარი რეუსი ჭინჭველის საზოგადოება, რომელიც ისე უკ-
ლის და ამრავლებს მდიდების, როგორც ადამიანი ძროსას. ეს ჭინჭველები,
რომელთაც მსწავლებელი მენასირე ჭინჭველებს უძახიან, უკლიან მთელს
გუნდს ჰაწას ჭიებისას. ასუფთავებენ, გაჭირვების დროს შეკლიან, მტრე-
ბისაგან იყარებენ, უკეთებენ ჰატარა მიწის ბოსლების, რომ აკლის დროს შეგ
შეეხინოს და სხვა, და სხვა. და მდიდებიც ისე ჰერთ მიჩვეული, რომ სანამ
თითოეს ჭინჭველები არ მოიწადინებენ, ტანიდგან წერის არ გამოიწვევენ.

როცა ჭიანჭველა მიგა და თავის ულვაშებით ნაზად იმის ტანს
შექება, ისიც გაუქმებდება და ტანიდგან წერის გამოიწვევებს, რომელსაც
ჭიანჭველები საძმოვნებით სმენ. როგორც ესმის, რომ ერთი მეორისთვის
საჭიროა: ჭიანჭველები მდიდებს უკლიან და ჰატრონობენ და სამაგიტოდ
მდიდებიც ჭინჭველებს ტებილის წერით შინებს უგმრიელებენ.

მდიდები გვერცხებს იმ მცენარეზედა სდებენ, რომელზედაც სცხოვო-
ნენ. ეს გვერცხები რომ მცენარეზედავა დარჩება, სანამ იჭიდგან მდიდი გამოვა,



ბერი დაიღუპება ავდოისა, სიცივისა და სხვა მაგნუ კრისტიანების. ჭინჭველების ქარგად ესმით, რომ ამ გვერცხებიდან მათთვის გამოსადევი მღილები გამოვდეს და არ მოისდომებინ, რასაკვირველია, იმათ და ღუპების: რაც უფრო მეტი იქნება მღილი, ისა სჭირდება, მით უფრო ბევრი წვენი ერგებათ ჭიანჭველების. ამიტომ ჭიანჭველები მღილის გვერცხების აგრძელებენ და თავიანთ ბუდეში მიაქვთ. იქ იმ გვარადვე უკლიან მათ, როგორც დედა-ჭიანჭველის გვერცხების, და როცა გვერცხებიდან მღილები გამოვა, ისე უგან წაიკვინენ და მცენარეზე გაუშებენ, რომლითაც იკვებება და ურომდოდაც მღილის ცხოვრება არ შეუძლიან.

რესი ჭიანჭველები განგებ იქ იკეთებენ ბუდეს, სადაც ბლობად არის მღილების საუგარელი მცენარე. მაშინ გამდელი ჭიანჭველები დღეში სამჯერ მიაუკანენ ჭიანჭველის ჰატარა ჭიებს მღილებთან, რომ ასაღად მოწველილი ტბილი წვენი დააღვენიონ. ეს წვენი ჰატარა ჭიანჭველების მაღანა რგებას.

არაან სხვა გვარი მღილებიც, რომელნიც მცენარის ფეხსკებით იკვებებიან. ესენი სშირად ჭიანჭველების ბუდეში სცხოვრაბენ, და ჭიანჭველები მაღანა ქარგად უკლიან მათ: ასუფთავებენ, აქმევენ, უშენებენ ბოსტობებს. სამაგიუროდ დღეში რემდენჯერმე მივღენ და ტბილის წვენის გამოსწველენ.

რესი ჭიანჭველები სხვა საჭმელის ისე რო ეტანებიან, როგორც ამ მღილის წვენის და ამიტომ, თუმცა მარცვალსაც აგრძელებენ, მაგრამ უმთავრეს მაღ-ლონებს მანც „მრასის“ მოშენებას და მოვლას ანდომებენ.

V

მეორე გვარი ჭიანჭველებისა მოწითლოა. ამ ჭიანჭველების მონათმფლობელების უწოდებენ. თუმცა ამათაც კი უუკართ მღილის ტბილი წვენი, მაგრამ მენასირობას მაინც არ მისდევენ.

ამათ სხვა გვარი შრომა უკისრიათ: მკანი და დეწებენ ერთ მცენარეს, რომელსაც ჭიანჭველის „ბრინჯი“ ჰქვიან, და ისახვენ ბუდის გასსა გუთოებულს თასში, „ბეღულში“.

մաշնամ մյ միւրուս յի կունկըլըն ստորո քանչուալըն գացանառա սա-
նա-մոյլուելու սահոցածոյն մյաջընին վույլո դօնուան կունկըլըն.
մի սահոցածոյն մյա-կոնկըլըն սմուա լու մյուրուեն. ճայցընաս եռումը
ուզիյ ուրանա մայո-կոնկըլըն սահոցածոյն, ճասմարուեն, մասուայըն
կոյն ու ուռոյն, մաթօնուեն ուզանտ ծյուպի, ցանքանան ու մաս-կոն-
կըլըն ու ցանքուն.

մանեն վոնա մեռուա տանսմեռուալըն օյցնին մյա-կոնկըլըն ուս,
յնմարյեռն ծյուպի ու ծյուպի ցարյու սամուս ցայտուն ու յմուրյույնը-
քի մեռման. մաշնամ մառսա-մոյլուելու կոնկըլըն ուս-ճա-տան մյունիու-
նին մեռման մյուրյույնըն, ցասմույն ումուսուն, ստորո նյուրո մանեն
մառնուպի ու, ռուբա մանենմա մյուծուս պյուլուս սամուս ցամուան, սրյու-
նու ցանցուան, ցանանմացուն.

սաւուացա ու սահուածու սանսեազա մանեն ուսուրուա կոնկըլըն.
մյա-կոնկըլըն մեռման մոյզաւ ու մարդո մասայմյա, մաշնամ յի մի
կոնկըլըն ուսահոցածոյն, սահուածոյն մուսուն առ ուրան. ռուբա յի կոն-
կըլըն ուսահոցածոյն մանեն մառնուպի, ռուցուրու մաշալուտա մառսա-
մոյլուելումա կոնկըլընմա ուրան, սասուտ ուցուատ ու նյուուտան այլ-
քին.

մի սահոցածոյն մյա-կոնկըլըն ույ ըաչույնըն ուտ սասուտ,
ռում պյուլուայը յիսայունատ. կոմա ու տուս, մեսսաց յո Պարուեն ու
քան, ռում մառսա-կունկըլըն վազուուս ու սէկմյու մուսուցուս. մուրանու սէկ-
մյու ուսաց յո առ էնցոյն նյուս, սասում մուս առ ճայույնիս ու նույն առ
իսայուուս. ծյու ռում ուզիյ իսմունցու, մուս ցասայտուելուաց առ ցան-
մույն նյուս, պյուլու մառսա-կոնկըլըն սինդ մոյմյունին ու բաջույնու
սացումա, ռույն յամուսու մույ իսցուն.

Շուցուու սիւյնուենացան ծյու ույ ճասնցույա եռումյ. ռում մոյ-
լու կոնկըլըն ուսահոցածոյն սէսցան սինդ ցագուուս ու տուլո ծյու
ցայտուս. մառսա-մոյլուելու կոնկըլըն մանենց յո առ քանչուլուեն
ուզանտ ոյենու վասցուս,— մանենմա սինդ վաստուուն յոյն տուլո
նանչի.

ուզանտ ծյուու ցայրուեն, նայուն ու կոյն սրյուլըն ու յու սի-
պան ու յի սէմյու մանենսա չի տ նօնցուալու, ռումյունուց սէսցան մա-
լուն յանցա կմուտայ ու ինչամուան.

մի սասուտ մառսա-մոյլուելուն յուցու սամյ սէցուստուս մոյն-
ջուատ. ուզատուն յո մյումընուտ ցագայույնան ու մյուն նումուան տու աբա-



უქმენ თავიანთ სიცოცხლეს, რომ მონები მოიპოვონ. მართლად კინ გერმანიაში მეომარი არიან ეს ჭირობები.

ამა უური დაუგდეთ, ერთი მსწავლელი როგორ აგვიწერს ამ ჭირობების ომს: „ერთს სადამოსათ,— ამბობს ეს მსწავლელი,— გავედი სასეარ სიღ ქადაგის გარეთ. უკრატ ჩემი უურადღება მიიქცია წითელი ჭირობების მწვრთვის, რომელმაც ძალიან მწყობრად და გაჩქარებით გზაზე გადამიარა. ამ რაზემდე 2000-მდე ჭირობები უნდა უოგილოეთ.

„გადარეს გზა. გაძგრენ ღობები და გასწიეს მინდვრად. მეტ უკა გამოვუდეს და თვალ-უური მექირა მათზედ. ჭირობების გზაზე მოაკალი დაბრულება შესვდათ: დიდრონი ბალახები, ქვები, კირპები და სხ. მაგრამ მაინც ისევ მწყობრად მიდიოდენ. ერთსედაც არ გაწეუტილა მათი რაზმი.

„გადარეს დიდი მინდვრი და ბოლოს მოშავთ ჭირობების ბუდეს მათდგნენ. ამ ბუდის ჭირობები ზოგი მცველებად იდგნენ ბუდის შესავალში და, როგორც კი მტრის კარი დაინასეს, გამოცვივდენ და კარის წინა რაზმს შეუტიეს.

„ამასობაში შიგნით ბუდეშიაც შეიტყეს მტრის თავზე დასხმა, შეიქა ალაქოთი და ბუდიდგან მტრის დასახველად მრავალი შავი ჭირობები გამოვიდა მწყობრად. მამავალი წითელი ჭირობები შეგროვდეს და უკლანი ერთად შეეტანენ შავ-ჭირობების. შავები თუმცა თავ-გამომეტნით ამობდენ, მაინც დიდხსნეს კერ გაუძლეს მტრის და უგიოჭნენ. მაშინ წითელი ჭირობები შეცვიდენ ბუდეში და, როს-სამ წმის არ გაუკლაა, ისევ უკან გამოვიდნენ. ურკველს მათგანს ბირით თითო ჭია ან პარკი მოქმენდა, და ისევ მწყობრად გაუდგნენ თავიანთ გზის. სადაც ბრძოლა მოხდა, იმ ადგილს მოაკალი მცველებად ჭირობები უკარა, წითელიც და შავიც, მაგრამ უფრო მეტი შავი დახუცილიერა.“

სსენებ-ული წითელი ჭირობები შეადგენენ მიწის-მუშა საზოგადოებას, მაგრამ როგორც ურკველივე სხვა საქმე, ისე მიწის მუშაობაც იმათ მონებისთვის მიუნდვიათ. მონები მუშაობენ ბუდის მასლობლად იმ მინდორში, სადაც ჭირობების „ბრინჯა“ მოდის.

თუ ამ ბრინჯას სხვა რამ უსარგებლო მცენარე გამოირია, მოსწევტენ თავიანთ უბებით, ყანის ასუთიავებენ და რაც ბრინჯი შემოვა, თითო უკლანი დეროს ცალკე მოასჭრან, და მერე ძირს დაცემულ მცენარეს მარცვლების გამოაცლიან. ამ მარცვლებს შეაგროვებენ და ისახვენ ბეღლებში. წელიწადში რამდენჯერმე გამოიტანენ მზეზე, რომ ბრინჯი არ დახორციოვდეს.

VI

ოქენე გაიცანით ჭიბულების საზოგადოება და იცით, რა დოფს
შეოძის ეწევა საზოგადოებაში მემა-ჭიბულე.

ესენ უნდა იცოდეთ, რომ მე ჸა-კინ კველები თუ მც ძალიან ბეჭრს დორს ანდომებენ შრომას, მაგრემ მაინც კიდევ იძღეს დორს შოუდობენ, რომ კაჯორვენ კიდევ. მაგალითად, სიირად მოხდება, რომ ჭინ კველები ას წარად თამაშობენ.

ერთი ჭინკველის გაიძლება, სსკები გამოუდგებიან და ცდილობენ გაქცეულიას დატერას. ოუ დაწირეს, შეიქნება მხაარედება: ასტესიან ზერგზე, უღლებებს უსმინ და სს. ბოლოს გიღვე გაიძლება უთი მათ-განი, სელასლად გამოუდგებიან სსკები და იმავ თამაშობის გაიმეორებენ. სშიარად ბრძოლის კარგიშობისაც მართებენ: გამოვა რამდენიმე მუშა-ჭინ-ჭველა მოცდილ დროს ბუღლიგს და შეებმება ერთი მეორეს. დადგებიან უკანა ფეხებზე, წინა ივებებს მოჰყვიდებენ ერთმანეთს და დაიწყებენ ბრძოლას თავით და უდგაშებით. რამდენ ჯერმე გაიმეორებენ ამ კარგიშობის.

ეტერბათ, სიძმოვნებასაც ჭირვებენ ამ თამაშობაში, რადგანაც თავისუფალ დროს სშირად შაქმცვას ასე. საჭიროც არის მათთვის საომარ საქმების ცოდნა, რადგან უკვედი მათგანი ბუდის მცველია. ესეც არ იყოს, ჭინწერა ისე არ შესვება ბუდეში, თუ ბუდის გარეთ, სხვა საზოგადოების ჭინწერებას, რომ არ შეებას, ჩეუბი არ გაუმართოს.

გამარჯვება, რასაც გვიღებია, იმაზეა დამოუღებელი, რომელი მათ-
განი რა ღრძიათა და სერხით იძრძის. ამიტომ უოკელი ჭინჭველა მუ-
ლეს შესად უნდა იქმოს მტრის დასახველობა.

თუ რომელიმე ჭიბუკველა ავად არის, ას დაწერილია, მისი სმხისაგები ზორუნავი მისთვის, უკლიას და აქტევებ, თუ თვითონ ავადმეოვს არ შეუძლიას ჭაბა. როდესაც ჭიბუკველა მოკვდება, გამოიცის ბუდიდღას და სიდებულის გადაცდებებს ხოლმე.

ო რ ი მ უ ნ წ ი

Oრთმა მუნწმა შეიტყო, რომ ამაღდაამ ქალაქში ცხოველობსთ შესანიშნავი და სახელუგანთქმული მუნწი.

— მოდი წავალ იმასთან, ჭერა მასწავლოს, და მარიგოსთ,— იფიქრა ჩვენმა მუნწმა და გაუდგა გზას. მივიდა და სოხოვა: — ამიუგანე შავირდად და მასწავლე შენი ხელობაო.



იმანაც უთხრა:

— კურთხეულ იუს შენი მოსვლაო! აი ბაზარში მიუღიარ სავაჭროდ და გამომუევიო.

მივიდნენ ხაბაზთან.

— კარგი ზური გაქვს? — ჰქითხა ოსტატმა-მუნწმა.

— ძალიან კარგი ზური მაქვს, ასალი გამომცხარია, — ფაფუქივით რბილია და ერბოსავით მსუეე, — უასუსა ხაბაზმა.

— ეს რა კარგი ამბავი შევიტყე! — სოქვა ოსტატმა-მუნწმა, — თურმე ერბო სჯობნებია ზურს! მაშ მოდი წავიდეთ ზურის მავიერ ერბო ვიყიდოთ. უფრო მეტს უარაოს გავწევთ! წავიდნენ და მეორე დუქნის წინ შედგნენ.

— გარემი ერბო გაქვს?

— აი თქვენ თითონ ნახეთ, რა ერბოა: ახლა, ქარვა-
ჭავით უვითელი, იტევით შირბახტის ზეთიაო!

— ხედავ, ერბოს, ფასის ასაწევად, შირბახტის ზეთს
ადარებს,— მაშ ზეთი უფრო კარგი უოფილა. ჩვენც ზეთი
ვიუიდოთ!

გასწიეს სსვა ღუქნისკენ და ახლა აქ იკითხეს:

— გარემი ზეთი გემოვებათ?

— საუცხოვო ზეთი გვაქვს! ისეთი ანგარა და წმინდაა,
იტევით წეალიაო.

— ოჟ! ამაზედ უკეთესი რადა იქნება? — წამოიძახა გახა-
რებულმა ოსტატმა-მუნწმა, — ღვთის წეალობით, წეალი კი
ბევრი მაქვს. წამო ჩემ სახლში და ერთად შევექცეთ წმინ-
და, ცივ და ანგარა წეალს: — ხომ გაიგე, ჩემო მეგობარო, —
ერბო ბურს სჯობნებია, ზეთი—ერბოს, და წეალი—კიდევ
სუმელათვერს.

— მადლი შენს გამჩენს! — სთქვა ჭერის სასწავლებლად
მოსულმა მუნწმა, — ჩემმა მოსულაძ ამაოდ არ ჩაიარაო!..



გამოცანათა კი

(ქართლში გაგონილი ო. რაზიკაშვილისაგან)

კულ და არა იყო-რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი დიდებული ხელმწიფე. ხელმწიფეს ორი დღის მიწა ჰქონდა. მოახვენეინა ხელმწიფემ, დაათესვინა და დააფარცხ-ვინა ეს მამული. დაიქირავა თორმეტი კაცი და დაუყენა საყარაულოდ ნახნავს.

ერთი კაცი შუაზედ იდგა, თერთმეტი კაცი კი გარს უვლიდა. მთელი დღე უვლიდენ და გარს ვერ შამოევლოთ.

გაზაფხულზედ, ჯეჯილი რომ ამოუკინდა და მოილერა ყელი, მოეგიდა ერთი ხარი, მოუსო პირი და სამს ლუქმად გადაყლაპა; შეჭმის უმაღლ გადიქცა და ამოუკიდა სული.

მკვდარს ხარს ტანი ხელმწიფის მამულზე ედო, ფეხები, თავი და კუდი მამულს გარეთ იყვნენ გადაცილებული.

მზისაგან ხარს სუნი აუვიდა. სუნზე ყორანი მოფრინდა, ჩაჭკიდა ბრჭყალები და წაილო ბუდეში. გზაზედ მეცხვარეს ცხვარი ჰყავდა. ყორანს ადგილი მოეწონა, დაჯდა ერთის თიკნის რქაზედ დაუწყო ჭამა.

შეჭმული ხარისა მიწაზედ ერთი ბეჭი დაეარდა. ბეჭი დიდ ხანს ეკვდო მინდონიში. ერთხელ უცებ ჭარი ამოეარდა, მოიტაცა ბეჭი და ჩაუგდო მეცხვარეს თვალში. მეცხვარეს თვალში წვა დაუწყო. ბეჭრს

ეცადა მეცხვარე, გაეგო, რა ჩაუვარდა თვალში, რომ ამოეჭონ ჩა-
რამ თავს ვერა უშველა რა.

მეცხვარეს სამი სიძე ჰყავდა: ფრინველთ-ხელმწიფე, ნადირთ-
ხელმწიფე და ზღვათა-ხელმწიფე. მეცხვარემ მაშინვე ფრინველთ-ხელ-
მწიფესთან გასწია, მიუიდა და შესჩივლა:

— დიდებულო სიძე! თვალში რაღაცა ჩამივარდა, ლამის დამი-
ბრმავდეს და მიშველო რამეო!

ფრინველთ-ხელმწიფემ შეგზავნა ფრინველები მწყემსის თვალში
მიჩეზის შესატყობად. ფრინველებმა ორი კვირა იარეს მწყემსის თვალ-
ში, ვერაფერი იპოვეს და ცარიელები გამოვიდნენ.

დალონებული მწყემსი ახლა ნადირთ-ხელმწიფესთან წავიდა.
იმასაც შესჩივლა. ნადირთ-ხელმწიფემ შეგზავნა ნადირები მეცხვარის
თვალში. ნადირებმა ორი კვირა იარეს თვალში, ერთი ყუნქული არ
დარჩენიათ, რომ არ გაეჩხრიკათ და გაექექათ; ვერაფერი იპოვეს და
ისევ ისე გამოვიდნენ, როგორც შევიდნენ.

შეწუხებული მეცხვარე ზღვათა-ხელმწიფესთან გაეშურა. ზღვა-
თა-ხელმწიფემ გახსნა ზღვები და მდინარეები და მიუშო მეცხვარის
თვალში. მდინარეებმა ორი კვირა იდინეს იმის თვალში; ბოლოს
ძვალი გამოიჩიყა, და დაუამდა მეცხვარესაც თვალი.

ხარის ბეჭი ზღვის პირას ეგდო. ერთხელ ვაჭრები მოადგნენ
ზღვის კიდეს, ნახეს ბეჭი, მიწა ევონათ, ძლიერ მოეწონათ და ზედ
მაშინვე ქალაქი ააშენეს. ვაჭრები კარგა ხანს სცხოერობდენ ტკბილად.

მაგრამ აი უბედურება: — თურმე ბეჭებ კიდევ ხორცი დარჩენილ-
იყო. ერთხელ მოვიდა მელია და დაუწყო ხერა ძვალს. რამდენსაც
მელია ბეჭს გამოსწევდა, იმდენი ვაჭრის სახლი ინგრეოდა.

შეწუხდნენ ვაჭრები, დაუწყეს ისეთს კაცს ძებნა, რომ შესძ-
ლებიყო იმათი გამოხსნა ამ განსაცდელისაგან. ბოლოს მოვა ვაჭ-
რებთან სამის დღის ვაჟი და ეტყვის:

— სამი ტყვია მომეციო და მე ვიცი და იმ მელიამაო.

ვაჭრებს ძალიან გაუხარდათ, მისცეს ვაჟს სამი ტყვია და შეს-
თხოვეს შველა.



წავიდა ვაჟი, ესროლა და მოკლა მელია.

—რა მოგცეთო,—ჰყითხეს ვაჭრებმა ვაჟს.

—მელის ტყავის ნახევარი მომეცითო,—უთხრა ვაჟმა.

გაატყავეს მელია; ნახევარი ტყავი ვაჟმა წაიღო, ნახევარი ქალაქმა. ვაჭრებმა დასჭრეს მელის ტყავი, და შეიკერა მთელმა ქალაქმა იმისი ტანისამოსი. ვაჟმაც წაიღო თავისი წილი, შეიკერა ტყავი, მაგრამ წინა კალთები, გული, ბოლო და სახელოები დაკლდა.

ვინ უფრო დიდი ყოფილა?—ხარი, ყორანი, ციკანი, მეცხვარე, ის ძვალი, ის მელია თუ ის ვაჟი?—(ვაჟიო, —იტყვიან).

დ ე დ ა დ ა შ ვ ი ლ ი

ერთს დედას ორი ვაჟი-შვილი ჰყავდა. შვილები დედას გაგიჟებით უყვარდა. ერთხელ უფროსმა ვაჟმა უთხრა:

—დედი, მე ეიცი, რომ ჩენ ძალან გიყვარვართ, მაგრამ ისეკი არ გეყვარებით, როგორც მე შენ მიყვარხარ!

—რადა გვონია, შვილო, ეგრე?—ჰყითხა გაკვირვებულმა დედამ.

—იმიტომ, დედილოჯან, რომ შენ ორი შვილი გყევართ და მე-კი შხოლოდ ერთი დედა მყავს.



ა გ ა ნ გ ა ლ ა უ გ ა ნ გ ა ლ ა

(თამაშობა)

Eეკრიბებიან ბავშვები და, მანამ თამაშობას დაიწყებენ, თავიანთ შორის ამოარჩევენ „დედას“. „დედას“ ასე იჩევენ.

ერთი რომელიმე მოთამაშე აიღებს კენჭს, დაიჭერს ერთს ხელში და ორსავე ხელს ერთნაირად მოჰკუმშავს, რომ ამხანაგებმა ვერ შენიშნონ, რომელს ხელში ეჭირება კენჭი. შემდეგ ორსავე მუჭას გაუშვერს რომელსამე ამხანაგს და ჰყითხავს:

—რომელი გინდა?

ამან უნდა გამოიცნოს, რომელ მუქაშია კენჭი. ესეც დაჭვების
ხელს ერთს მუქას და ეტყვის:

—აი ეს!

თუ გაიგო და ხელი იმ მუქას დააღო, რომელშიაც კენჭია,
მაშინ ეს უკანასკნელი ჩამოართმევს კენჭს და ამ რიგადვე მიჰმარ-
თავს დანარჩენ ამხანაგებს; თუ მესამეაც გამოიცნო, ახლა ეს ჩა-
მოართმევს; ამ რიგად გარდაეცემა მეოთხეს, მეხუთეს და დანარჩე-
ნებს. ვინიცობაა, ერთმა, ან მეორემ, ან მესამემ ვერ გამოიცნო,
კენჭი რომელ ხელშია, მაშინ კენჭი ვისაც უჭირავს მუქაში, იმასვე
დაპრჩება და ისვე მიჰმართავს სხვა ამხანაგებს. ვინც ყველაზე ბო-
ლოს გამოიცნობს კენჭსა, „დედად“ ის ამოირჩევა. მერე იწყება თვით
თამაშობა, რომელიც ასე სწარმოებს.

„დედა“ ამოირჩევს ადგილს, ბინას, რომლის შეცვლა თამა-
შობის გათავებამდე შეუძლებელია. შემოიხვევს გარს ყველა მოთა-
მაშებს, თვითონ ჩაიფიქრებს რომელსამე ფრინველს ანუ ოთხფეხს
და მოჰყვება ჩაფიქრებული ფრინველის ანუ ოთხფეხი ცხოველის ტა-
ნის და მისი ნაწილების სიღიღის დასახელებას.

ამის საჩვენებლად უეჭველად ქამარი უნდა შემოისხნას, ან იშო-
ვოს. ქამრის ერთს წვერს ერთს ხელში დაიჭერს და მეორეს კი,
როგორც საჭიროება მოითხოვს, შორს ან ახლო წავლებს. შემდეგ
ორივე ხელით გასჭიმავს ქამარს, რამდენადაც უნდა, ასწევს მაღლა
ამხანაგების საჩვენებლად და იტყვის:

—ამოდენა თითონ არის (ესე იგი, ამოდენა ტანი აქვსო)!!.

—აგანგალა-განგალა!—მიაძახებენ ყველანი.

—ამოდენა თავი აქვს (მრგვლად შეახვევს ქამრის ერთს ბო-
ლოს და ისე უჩვენებს)!

—აგანგალა-განგალა!—მიაძახებენ კიდევ ყველანი.

—ამოდენა კისერი აქვს (უჩვენებს „დედა“ ისევ ქამრით)!

—აგანგალა-განგალა!

—ამოდენა თვალები აქვს!

—აგანგალა-განგალა!



—ამოდენა ნისკარტი აქვს!
—აგანგალა-განგალა!
—ამოდენა ფრთხი აქვს!
—აგანგალა-განგალა!
—ამოდენა ფეხები აქვს!
—აგანგალა-განგალა!
—ამოდენა ბოლო აქვს!
—აგანგალა-განგალა!
—ამოდენა კლანჭები აქვს!
—აგანგალა-განგალა!

ამ ნიშნების ჩამოთვლით დაასრულებს ფრინველის აღწერას.

ოთხფეხი ცხოველი თუ ჩაიფიქრა, მაშინ „დედა“ ამ ცხოველის ტანის, თავის, კისრის, თვალების, ფეხების და კუდის გარდა, ამის ყბილების, ბეჭვის, რქების და ყურების სიზიდუსაც ანიშნებს.

როცა „დედა“ გაათავებს ყველა ნიშნების ჩამოთვლას, მიბრუნდება ან მარჯვნივ ან მარცხნივ, ყველას სათითაოდ გამოაშლევინებს ხელს, დაარტყას გამოშლილ ხელის გულზედ ქამარს და ჰკითხაეს:

— აბა რა არის? — ესე იგი რა ფრინველი ანუ ოთხფეხი ცხოველი ჩაიფიქრეო.

ესეც დაასახელებს ერთს, უეჭველად ერთს რომელსამე ფრინველს ანუ ოთხფეხ ცხოველს, — იტყვის: „ბეღურაო“, მეორე — „მერცხალი“, მესამე — „მტრედი“, მეოთხე.... იხვი.... ბატი... ძერა... ქორი... ხოხობი... არწივი... მწყერი და სხვანი; ანუ, თუ ოთხფეხი ცხოველი უნდა გამოიცნოს, იტყვის: ძალლი, ტურა, მელია, მგელია, დათვი, ირემი, ძროხა და სხვა, და სხვა.

ვინც „დედას“ ჩაფიქრებულს საგანს გამოიცნობს, იმას „დედა“ გადულოცავს ქამარს, რომელსაც თამაშობაში „ლახტი“ ეწოდება. შემდეგ დედა წამოისხებს — „ჯერიო!“ და ყველა მოთამაშენი გაიქცევიან სხვა-და-სხვა მხარეს; ამათ დაედევნება ლახტის პატრონი და ვისაც მოასწრობს, ლახტით სცეშს. ამ რიგად ბავშვები გარბი-გა-

მორბიან, მელახტეს აბრაზიანებენ: ზოგი წინ გაურბის, ზოგი კუპანი გვერდს; „მელახტე“ კიდევ ცდილობს ყველას „უზნი“ გის-ცეს, თვითო-თვითო მაინც დაარტყას.

„დედა“ ამ ღროს ზის ბინაზედ და თვალს ადევნებს ბრძოლის ველს. როცა ეს მოისურვებს, მაღლა ხსით დაიძახებს: „აქა, აქა!“ ესე იგი, გეყოფათ, აქ მოდითო. ამ დაძახებაზედ მოთამაშეთა ჯერი შეიცვლება: „მელახტე“ უეცრივ ანებებს თავს სხვების დევნას და ლახტის ქნევას და რაც ძალი და ღონე აქვს მორბის „დედისკენ“. დანარჩენები ამას ასეთისავე გაშაგებით უკან მოსდევენ დასაჭერად. თუ „მელახტემ“ მოასწრო და ყველაზედ აღრე მოიჩინა „დედას-თან“, ხომ რა კარგი; თუ მას გზაზედ წამოეწივნენ და დაიჭირეს, შეჰბოჭვენ, გაჰპაწრავნენ, შეუკერენ ხელებს და ამ სახით მიიყვანენ „დედასთან“. „დედა“ ამას აათვალიერ-ჩამოათვალიერებს და ჰყიუ-ხავს შემცყრობლებს:

— ვინ არის, რა დაგიშავათ, რისთვის დაგიჭერიათო?

— გზაში მივდიოდი, დაგვეცა, გვცემა და გაგვცარცვაო,— მიუგებენ.

— მაშ დააჩოქეთ, თვალები აუხვიეთ, ქუდი მოხადეთ და ხელები აუხსენით! — უბრძანებს „დედა“.

„დედის“ ბრძანებას დაუყოვნებლივ აასრულებენ: დააჩოქებენ, თვალებს ხელსახოცით აუხვევენ, ხელებს აუხსნიან და ქუდი სადმე შორი-ახლო მიწაზედ დასდებენ.

„დედა“ ჰყითხავს დაჩოქილს და თვალ-ახვეულს:

— აბა გამოიცან, სად არის შენი ქუდი?

თვალ-ახვეული ორსავ ხელის გულებს ერთმანეთზედ მიადებს, გაიშვერს საითმე, რასაკიირველია, ისე, ალალ-ბედობაზედ, და დაუსტვენს: „ფუ!“ ესე იგი იქით მეგულებაო.

თუ ხელები ქუდის მხრივ გაიშვირა, მაშინადვე წამოაყენებენ ფუზედ, თვალებს აუხსნიან, ერთის სიტყვით, თამაშობა გათავდება და ისევ ხელ-ახლად თავიდამ უნდა დაიწყონ. თუ ხელები საითაც ქუდია, იქით არ გაიშვირა, მაშინ დედის ბრძანებით ამას ერთი დამ-




ჭერი დაარტყამს ზურგზედ ერთხელ, ორჯელ, სამჯერ (რამდენიმეც „დედა“ ეტყვის) ლახტს. „დედა“ ისევ გაიმეორებს კითხვას; დაჩი-ქილი ისევ სტენით გაიშვერს ხელებს ქულის სანიშნებლად. ახალს შეცდომას თან ახალ-ახალი ლახტით ცემა მოსდევს.

გამარჯვებულები ისინი რჩებიან, ვინც ხშირად გამოიცნობს „დედისაგან“ ჩაფიქრებულს საგანს და თანაც ვერც ერთხელ, ან სხვაზედ ნაკლებ, დაიჭირეს ბინისკენ გამოქცევის დროს.

უკრო ის ბავშვები იმარჯვებენ, რომლებსაც ფრინველები და ოთხფეხი ცხოველები ხშირად უნახავთ, თვალი და ჰკუა უჭრით და კარგად იხსომებენ ნანასს, და თანაც მუხლ-მარღნიც არიან.

ამ თამაშობას მომეტებულ ნაწილად ვაჟები ეწყობიან.

ან-მან.



წერილი რედაქციას

 ე გახლავარ პატარა უბის საათი. აგერ სამი წელიწადი იქ- წნება, რაც ერთგულად ვემსახურები ჩემს საყვარელს პატ- რონს—15 წლის შალვას. უნდა მოგახსენოთ, რომ შალვა მოსწავლე ყმაწვილია და ძალიან უყვარს წიგნების კითხვა, ნამეტნა- ვად ქართულისა.

ამას წინად მოუვიდა „ჯეჯილის“ მე-2 წიგნი,—ამ დროს მეც უბეში ვედე,—გადაშალა შუაზე და გარკვევით ამოიკითხა: „საათი და იმის ამბავი“.—ეს ხომ ჩემი ამბავია-მეთქი, და მოუთმენლად ყურები ვცემიტე.

წავიკითხე და გავიგე ჩემი მამა-პაპის ამბავი, გავიგე და თვა- ლებში სიხარულის ცრემლები მომიერდა. ვტირი და მიხარიან, მიხა- რიან და ვტირი. გული ამიცახცადა, ბულეში ველარ ვეტევი; ვხტი და რა ეხტი, ვხტი ისე, რომ დილის შეიდი საათი არ იქნებოდა ჯერ, და მე კი რეასაც გადასული ვიყვავი....

შალვამ გამოიღვიძა, უცებ დამხედა და რა მნახა, რომ ჩემი პე-
ტარა ყარაული რვაზე მიმითრევია, მოჰყვა ყვირილს:

—ბიქო, ნიკო! პირი დამაბაინე, ტან-საცმელი, ფეხ-საცმელი
მომეცი, მარდად! დამიგვიანდა!

შალვა საჩქაროზე მოამზადეს და სასწავლებელში გაისტუმრეს.
მაგრამ წარმოიდგინეთ იმისი გაკვირვება, როდესაც სასწავლებელში
ერთი ამხანავი ვერ იპოვა: ყველაზე ადრე ის მისულიყო. იწყინა ჩემ-
გან ასეთი მოტუუბა და დაბრუნებაზე მესაათეს მიმაბარა.

მესაათემ დამშალა, გამწმინდა, წამისო ზეთი, კელავ შემკრიბა
და ჩამსვა ბუდეში. იმ ღამეს იქ დავრჩი. ბევრი საათი გავიცანი,
ბევრს მეგობრად გავუხდი, ბევრი დავიძმობილე. უნდა გენახათ იმა-
თი გაკვირვება, როდესაც ვუამზე, რომ ახლანდელი საათები სრულიად
არა ჰგვანან-მეთქი უწინდელებს, ძელის დროის საათებს, არც მო-
წყობილობით და არც ავებულობით,—არც სულით და არც ხორ-
ცით. ჩვენი ხორცი ხომ შორეულ მთებშია ნაპოენი, სული კი ჩად-
გმული გვაქვს სხვა-და-სხვა ქარხნებში. თუმცა დიდი ხანი არ არის,
—სულ 300 წელიწადია,— რაც ჩემისთანა ბორბლებიანი საათი მო-
იგონეს, მაგრამ დღეს ისე გაემრავლდით და გავიეფდით, რომ ბევრს
ღარიბსაც შეუძლიან ჩვენი შეძენა. უწინ? სიცილი მომდის, როდე-
საც მომაგონდება ძველებურად მომართული მზისა, წყლისა ანუ ქვი-
შის საათი. ღმერთო ჩემო, რანი ვყოფილვართ და ახლა რანი გართ!

ამ ღაპარაკში ვიყავი გართული, როდესაც შალვამ კარები შე-
მოაღო და გამომიხსნა ტყვეობისაგან. მხოლოდ მაშინ მოვედი გონ-
ზე და ჩემთვის, წყნარად დაეიწყე ისევ ტიკ!—ტიკ!—ი.



ა ნ დ ა ჰ ე ბ ო

- 1) ციკანი ერთი ბლაოდა, ძუძუ ყველასა შიოდა.
- 2) ვინც სავსე ჯამში თითს ჩატყობს, გემოსაც ის ჰნახავს.
- 3) გველი წავიდა მრუდობით, ეგონა გაღარჩებოდა.

გ ა მ თ ც ა ნ ე ბ ო

გამოცანას მოგახსენებთ,
 რაღვან ბრძანე, განა მეცა:
 ის ვინ იყო, არ იხილა
 არც ქვეყანა, არცა ზეცა,
 უხილავად ღმერთი იცნო —
 სული წმინდა, მამა, ძეცა —
 და, სიხარულით განკრომილმან,
 ღმერთსა ჩვენსა თაყვანი სცა.

ჯარი დგას ყოვლით თემ-თემი,
 გზა არსით აიქცევისა,
 შეიქნა ომი ძრიელი.
 მრავალი წაიქცევისა,
 ყრია უწყალოდ დაჭრილი,
 სისხლი არ დაიქცევისა.

ჩვენ ის გვიბოძა უფალმან,
 მისგან წყალობით კმარისა.

გამოცანას მოგახსენებ, გამოიცან,—სიბრძნე გაქვსო:
 ერთს სოფელში ორი ძმანი, ორთავ ერთი ფერი აქვთო,
 ერთს ჯარი ჰყავს უთვალავი, ერთსა მარტო ტახტი აქვსო,
 ერთი მუდამ სიყრმეზე სდგას, ერთს სიბერე ახლო აქვსო.

(იმერეთში გაგონილი)

ერთსა მინდობრზედ დახტოდა ერთი უკუდო კატაო,
 რაც საკუდეზედ დააკლდა, ის ყურებს მოემატაო,
 ცხვირსახოცს თავი მოუბსკვენ, კედელზედ დაიხატაო,
 ვინც ამას ვერ გამოიცნობს, ხჩანს, ჭკუამ ულალატაო.

წაიქცა ჯირკი, წაეხვია ჯინჭველები.

ს ა მ ა თ ე მ ა ტ ი გ ა მ ა ც ა ნ ა


ხეზე შემოჯდენ ჩიტები. როცა თითო შტოზე თითო ჩიტი დაჯ-
 და, ერთს ჩიტს აღარ ერგო შტო; როცა თითო შტოზედ ორ-ორი
 ჩიტი დაჯდა, მაშინ ერთი შტო დარჩა ცალიერი. რამდენი ყოფილა
 შტო და რამდენი ჩიტი?

კაცი ვინმე შევიდა საყდარში და სოხოვა ღმერთს:

—უფალო, მომეცი იმდენი ფული, რამდენიც მე ეხლა მაქვს, და
 ერთს აბაზს შენვე შემოგწირავო.

მეორე და მესამე საყდარშიაც ამ გვარად შესთხოვა ღმერთს
 ფული; აქაც დაპირებისამებრ თითო აბაზს სწირავდა ღმერთს.

რამდენი ჰქონია ფული ამ კაცს პირველ საყდარში შესვლისას,
 თუ მას არაფერი არ დარჩა ჯიბეში, როცა მესამე საყდრიდამ გამოვიდა?



შაირები, შეგრებილი შორისნის მატიაში

თ. ხუსკივაძისაგან.

აი ელია-მელია,
თორმეტი კუდი მგელია:
ერთსა გადუსვი ხელია,
ეს არის ჩემი ცხენია.
ქალაქი მოვარდეინე,
შირს ავალინე მტვერია;
სვირელი ქალი ვითხოვე,
ზარმაცი, გაუზრდელია,
ოცი სარტყელი ვუყიდე,
ერთად არ შემოსწევდენია.
მოყვრებშია წავიყვანე,
ცხენს მომიწყვიტა წელია.

ჩვენ კიკოლას დაუხურავს
ქუდი შავი-კრაველია,
ნიკაპი გაჰვრძელებია,
ცხვირი—სამი ტკაველია.

ჩ ქ ა რ ა - გ ა მ ო ს ა თ ქ მ ე ლ ი

- 1) აგერ მივა შავი კაცი, შავ-ცხენ, შავ-პაიჭ-კარაჯიანი.
 - 2) ჩემი ჩიტი, ჩაფრა ჩიტი,
შენი ჩიტი, სკვინჩა ჩიტი;
ჩემმა ჩიტმა, ჩაფრა ჩიტმა,
შენსა ჩიტსა, სკვინჩა ჩიტსა,
ჩაუჩაფრა სკვინჩა ჩიტა.
-

შ ა რ ა დ ა

პირველს ხმარობს „ჰო“-ს მაგიერ
ხშირად მთელი იმერეთი,
მეორეს კი ძროხა გვაძლევს,
კარაქ-ზაწვნის შემდეგ, რძეთი;
მესამეს ცეწერთ „ანის“ შემდეგ,
„განსა“ და „დონს“ თავს დაჰყურებს;
მთელს შეაღენს, რაშიც ვაწყობთ
ქადა-ლავაშ-ნაზუქ-პურებს.

რ ე ბ უ ს ი

ვ



ე



№ II-ის გამოცანების ასენა


- 1) გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი.
- 2) კარავი.
- 3) სარკე.
- 4) სტვიჩი.
- 5) ლომის ლასტი.
- 6) ოჯახს შეაღენდენ:



ბერი კაცი, დედა-ბერი, მათი ცოლიანი ვაჟი-შეილი და სამიტრი-
ლის-შეილი, რომელთაგან ერთი ვაჟი იყო და ორიც ქალი.

შარადა: ბუხარი. რებუსი: იალბუზის წვერზედ ასელა ძნელია.

სავარჯიშოს ახსნა: ქალალდის ზოლი შეკეცეთ ორად, ამოუ-
ყარეთ ძაფის წვერებისკენ და მერე ქალალდებიანი ძაფი გამოაძერით,
როგორადაც ეს ნახატი გიჩვენებთ.



რებუსი ახსნილი იყო ყიზლიარის სამოქალაქო სასწავლებლის
მეორე კლასის მოწაფის მიხეილ ხუციშვილისაგან.

შარადა და სავარჯიშო ახსნა წინამდლვრიანთ კარის სამეურნეო
სკოლის მოწაფემ აპ. წულაძემ.

რედაქტორი-გამომცემელი ან. თუმანიშვილისა

ნანა
(ხალხური ხმა)



Violin Part:

Violoncello Part:

Key: C Major
Tempo: P.
F.

Text:
ვ — ვე — ჩქნე — ღო
ჭ. ვლე — ხის ზვა — ღო

Violin Part:

Violoncello Part:

Key: C Major
Tempo: P.
F.

Text:
ვ — ვ ხა — ხა ხა — ხა
ჭ. წნა — ღა

Violin Part:

Violoncello Part:

Key: C Major
Tempo: P.
P.

Text:
ვე — ვე ვები — ღად
ჭ. ვე — ღარ ღე — ღად

Violin Part:

Violoncello Part:

Key: C Major
Tempo: P.
P.

Text:
რამ ღა — ვ — ღა
ხა — ღა

კამოიცემა, ორ თვეში ერთხელ, საყმაწვილო სურათებიანი
ქურნალი

ჯეჯილი

წელიწადში გამოვა სულ 6 წიგნი, და თითო წიგნში იქნება
ოთხიდამ-ხუთამდე ნაბეჭდი თაბახი, ანუ 64—80-დე გვერდი დიდის
ფორმატისა.

„ჯეჯილში“ დაბეჭდება: მოთხოვნანი, ლექსები, ზღაპრები,
მოგზაურობის და შესანიშნავ-კაცთა ცხოვრების აღწერა, პოემები,
მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშო: სათამაშონი და სა-
ვარჯიშონი, სამათემატიკო ამოცანები, იგავები, ანდაზები, გამოცა-
ნები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

შურნალში მონაწილეობის მიღება აღვითქვეს ყველა ჩვენმა
საუკეთესო მწერლებმა.

შურნალი „ჯეჯილი“ ტუილისში დატარებით ელირება—3 მან.,
ტუილის გარეშე გაგზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი ფტილისში იქნება 70 კაპ., ხოლო სხვა
ქალაქებში—ქუთაისს, ბათუმს და გორში,—ელირება 75 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) ტუილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში
(Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 102) და ოვით „ჯეჯილის“
რედაქციაში (Барятинская ул., д. № 8).

2) შუთაისში—ე. ნიკოლაძისას.

3) გორში—ე. შურცელაძისას.

ვისტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинского
дѣтскаго журнала „Джеджили“.

რედაქტორი—გამომცემელი ა. თუმანიშვილისა:

සෑම මෙය නො යොමු කළ තුළ

නො යොමු කළ තුළ නො යොමු කළ

නො යොමු කළ තුළ නො යොමු කළ

නො යොමු කළ